აპლიკაცია „სპიკერი“-ს საპილოტე ვერსიის გამოცდა

ნათელა ჩაჩხიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი-თინათინ ჭინჭარაული, თანახემლმძღვანელი ნატო ჯიმასპიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათელა ჩაჩხიანი

2022

აბსტრაქტი

კომუნიკაცია არის იდეების გაცვლის პროცესი, თუმცა ზოგ ადამიანს აქვს გარშემომყოფებთან კომუნიკაციის დამყარების სირთულე და კომპლექსური კომუნიკაციური საჭიროებები. ასეთ შემთხვევაში, სპეციალისტები რეკომენდაციას უწევენ ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის განვითარებას სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციის დამხმარე მოწყობილობის- აპლიკაცია „სპიკერის“ სწავლების პროტოკოლის, ათვისების ხარისხის, კომუნიკაციასა და ქცევაზე მისი გავლენის შეფასება, ასევე დაკვირვება თუ რა მიზნით და რომელ გარემოში გამოიყენებენ მას კომპლექსური კომუნიკაციური საჭიროებების მქონე პიროვნებები და როგორ შეაფასებენ აპლიკაციას მათი კომუნიკაციური პარტნიორები.

კლვევაში ჩართული იყო სამი მონაწილე, რომელთაც აქვთ კომპლექსური კომუნიკაციური საჭიროებები, არ შეუძლიათ ვერბალურად კომუნიკაციის დამყარება გარშემომყოფებთან და აღენიშნებათ ქცევითი სირთულეები.

კვლევაში გამოყენებულია ერთი შემთხვევის შესწავლა - თითოეული პიროვნების შემთხვევაში მოხდა საწყისი და საბოლოო მონაცემების შედარება. კვლევა გაგრძელდა სამი თვის განმავლობაში.

შედეგებმა აჩვენა, რომ აპლიკაციის გამოყენება ინდივიდუალურია თითოეული ადამიანის შემთხვევაში და მის ფუნქციებს ყველა განსხვავებულად ეუფლება. კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რაც აპლიკაციას უფრო მორგებულს გახდის თითოეულ ინდივიდზე. ასევე, დადასტურდა, რომ აპლიკაციას დადებითი გავლენა აქვს გამოხატვის არასოციალური ფორმების შემცირებაზე, თუმცა პრობლემურ ქცევასა და ვერბალურად წარმოთქმული სიტყვების რაოდენობაზე მისი გავლენა არ გამოიკვეთა. აღმოჩნდა, რომ მონაწილეები ყველაზე ხშირად აპლიკაციას იყენებდნენ სურვილებისა და საჭიროებების გამოხატვის მიზნით, მაგრამ მხოლოდ სახლის გარემოში. კვლევამ გამოავლინა კომუნიკაციური პარტნიორის როლი და მნიშვნელობა ააკ-ს ათვისების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: აპლიკაცია „სპიკერი“, პრობლემური ქცევა, სპონტანური კომუნიკაცია, გამოხატვის ფორმები, კომუნიკაციის ფუნქციები.

Abstract

Communication is a process of exchanging ideas, however some people have difficulties in establishing communication with those around them. In this cases, specialists are recommending development of alternative and augmentive communication, using various devices.

The aim of this research is to assess the infulence of communication assistant, "Speaker" application, on learning protocol, quality of understanding, communication and behavior comprehension. As well as to observe the purpose and context in which individuals with complex communication needs use it and how their communication partners evaluate the application.

Three participants were involved in a study, who have complex communication needs: they are unable to engage in verbal communication with the people around them and experience behavioral difficulties.

Case study was used for this research, the initial and final data were compared for each individual. The study lasted for three months.

The results showed, that using application is individual for each person and everyone understands its functions differently. In addition, study revealed important details which can make the application customizable for every individual. Furthermore, it was proven that application has a positive effect on reducing the non-social forms of expression. However, its influence on problematic behavior and the number of words spoken was not evident. It was found that participants most often used the app to express their needs and wishes, only in a home environment. The study revealed the role and importance of a communication partner in the process of mastering alternative and augmentive communication (AAC).

Key words: Application "Speaker", problematic behavior, spontaneous communication, forms of expression, communication functions.